

დავის განმხილველი სასამართლო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქმის დასახელება: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

დავის საგანი: „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №145 დადგენილების 10³ მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

მოსამართლეთა შემადგენლობა: ლალი ფაფიაშვილი
ზაზა თავაძე
ოთარ სიჭინავა
თამაზ ცაბუტაშვილი

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 28.10.2015

განსხვავებული აზრი: არ დაფიქსირებულა

პრობლემის არსი

სადავო ნორმის თანახმად, სპეციალიზებული დაწესებულებიდან ბიოლოგიურ ოჯახში ან მეურვესა თუ მზრუნველთან დაბრუნებულ არასრულწლოვანს სახელმწიფოსგან ყოველთვიურად სოციალური დახმარება ეძლევა 90 ლარის ოდენობით, იმ პირობებში, როდესაც იმავე ბავშვს, ნათესაურ მინდობით აღზრდაში ყოფნისას, ბიუჯეტიდან ყოველთვიურად დაერიცხებოდა 200, ხოლო არანათესაური მინდობით აღზრდის პირობებში კი 420-დან 465 ლარამდე თანხა.

მოსარჩელის პოზიცია

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არათანაბარი ფულადი სოციალური დახმარების დადგენით სახელმწიფო უთანასწოროდ ეპყრობა არსებითად თანასწორ პირებს:

- (I) სპეციალიზებული (აღმზრდელობითი) დაწესებულებებიდან ოჯახურ პირობებში დაბრუნებულ არასრულწლოვნებს;
- (II) მათ აღზრდაზე პასუხისმგებელ პირებს - არასრულწლოვნების მშობლებს, მეურვეებსა თუ მზრუნველებს და მინდობით აღმზრდელებს;

მოსარჩელის განმარტებით, სპეციალიზებული დაწესებულებიდან დაბრუნებული არასრულწლოვანი, იმის მიუხედავად ის იცხოვრებს ბიოლოგიურ ოჯახში თუ მინდობით აღმზრდელთან, ზრდისა და განვითარებისთვის, საჭიროებს ერთსა და იმავე ფინანსურ რესურსს.

პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მოსარჩელის შეფასებით, აგრეთვე თანაბარი თანხა ესაჭიროებათ არასრულწლოვნების მშობლებსა და მინდობით აღმზრდელებს, ვინაიდან აღსაზრდელის მიმართ მათ ეკისრებათ თანაბარი ვალდებულებები.

მოსარჩელის მტკიცებით, დიფერენცირებული მიდგომა მინდობით აღზრდაში მყოფ არასრულწლოვანს უქმნის უკეთეს საარსებო პირობებს, რაც ეწინააღმდეგება ყოველი ბავშვის უმთავრეს ინტერესს - აღიზარდოს ბიოლოგიურ ოჯახში.

მოპასუხის პოზიცია

მოპასუხე მხარე არ ეთანხმება სარჩელის შინაარსს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მშობლებს, მეურვეებსა თუ მზრუნველებს აქვთ არასრულწლოვანზე ზრუნვის კანონისმიერი ვალდებულებები, რითიც არაა დატვირთული მინდობით აღმზრდელი და შესაბამისად, მასთან მყოფი არასრულწლოვნისთვის დარიცხული შედარებით მეტი რაოდენობის თანხა მზრუნველის შრომის ანაზღაურებასაც გულისხმობს.

მოპასუხის განმარტებით, ერთი მხრივ, მშობლები, მეურვეები და მზრუნველები და მეორე მხრივ, მინდობით აღმზრდელი თანასწორ პირებად არ განიხილებიან და თუკი მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვისთვის გადაცემულ თანხაში ფორმალურად არ არის გამიჯნული აღმზრდელის ხელფასი, ეს განპირობებულია იმ მიზნით, რომ თავიდან იყოს აცილებული მისი საშემოსავლო დაბეგვრა.

მოპასუხემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვესა თუ მზრუნველს აქვთ შესაძლებლობა დამატებით ჩაერთონ სახელმწიფოს მიერ მხოლოდ მათთვის შედგენილ სხვა სოციალურ პროგრამებშიც, რაც გაათანაბრებს მათ მინდობით აღმზრდელის ფულად შემოსავალთან.

გადაწყვეტილების მოტივაცია

საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელის პოზიციას სპეციალიზებული დაწესებულებებიდან ოჯახურ პირობებში დაბრუნებული არასრულწლოვნების არსებითად თანასწორ პირებად აღქმაში და მიიჩნევს, რომ აღმზრდელთან ბიოლოგიური კავშირის მიუხედავად, თითოეულ მათგანს აქვს ღირსეულ სოციალურ პირობებში აღზრდის თანაბარი სამართლებრივი ინტერესი.

სასამართლოს განმარტებით, დიფერენცირებული მიდგომის ფარგლებში, სოციალურ დახმარებებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად არ ცვლის სამართალსუბიექტთა პირობებსა და უფლებრივ მდგომარეობას.

სასამართლო მშობლის მზრუნველობას მოკლებული არასრულწლოვნის მინდობით პირობებში აღზრდას განიხილავს ხელშემწყობ საშუალებად ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების, მისი სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ადაპტაციის პროცესში. საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული იმ მიდგომის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი არასრულწლოვნის მზრუნველობით დაწესებულებაში მოთავსება, სასამართლო ოჯახური გარემოს შექმნას მინდობით აღზრდის ინსტიტუტის გამოყენებით, ღირებულ ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნევს.

სასამართლოს შეფასებით, ბავშვზე ზრუნვის პირველადი ვალდებულება აკისრია მშობელს და სახელმწიფომ, სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამის განხორციელებით, თავად არ უნდა იტვირთოს ამ ვალდებულების შესრულება. სასამართლო განასხვავებს მშობლისა და ხელშეკრულების საფუძველზე სპეციალური სახელმწიფო სერვისის - მინდობით აღზრდის განმახორციელებლის სამართლებრივ მდგომარეობას, აგრეთვე აღსაზრდელის უფლებრივ დამოკიდებულებას მათ მიმართ და მშობელს, მეურვესა თუ მზრუნველსა და მინდობით

აღმზრდელს მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში არ მიიჩნევს არსებითად თანასწორ სუბიექტებად.

აღმზრდელის მიმართ განსხვავებულია მშობლის, მეურვისა თუ მზრუნველის და მინდობით აღზრდის პირობებში მყოფი არასრულწლოვნის უფლებრივი მდგომარეობა. განხილულ შემთხვევაში განსხვავებულია სოციალური დახმარებების ფინანსური წყარო და ზრუნვის ვალდებულება, ერთ შემთხვევაში, კანონისმიერად, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა. აგრეთვე იქიდან გამომდინარე, რომ მინდობით აღმზრდელს აღმზრდელითი ღონისძიებების განხორციელება ეთვლება შრომით სტაჟში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობა მოიცავს როგორც მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ბავშვის მოვლის ხარჯებს, აგრეთვე კომპენსაციას მიმღები ოჯახის მიერ გაწეული საქმიანობისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, არსებითად თანასწორი პირების - სპეციალიზებული დაწესებულებიდან გამოყვანილი არასრულწლოვნების მიმართ დადგენილ დიფერენცირებულ მოპყრობას გააჩნია რაციონალური საფუძველი და სადავო ნორმა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ სტანდარტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

არ დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.